Nugzar zosidze
E-mail:n.zosidze@bsu.edu.ge
Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-2613-3365

GEORGIA IN THE PLANS OF GERMANY AND ITS ALLIES AT THE INITIAL STAGE OF THE WORLD WAR I (MILITARY OPERATIONS ON THE TRANSCAUCASUS FRONT)

Abstract. *In the early twentieth century, two large opposing hostile coalitions have formed in Europe: Triple Alliance and Triple Entente.*
The Triple Alliance initially included: Germany, Austria-Hungary, and Italy. After the start of the World War I, the latter withdrew from the bloc, but Ottoman Empire and Bulgaria joined it, thus forming the Quadruple Alliance. The countries included in it demanded a "place under the sun" and assumed to take the colonies from the Entente countries through war.
The core of the "Entente" consisted of the world's largest colonial empires of that time - Great Britain, France and Russia. It was between these two imperialist groups that the World War I of 1914-1918 broke out, involving thirty-eight states from different continents.
The war was imperialistic, unjust and conquering on both sides, resulting in the deaths and maiming of millions of people, destruction and extermination on a grand scale.
Germany and its allies had significant plans for Transcaucasia and the expulsion of Russia from there. This unity of these interests largely led to the Ottoman Empire joining the Alliance, following the 1908 Young Turk Revolution. After the Revolution, three leaders distinctively stood out in the political life of the Ottoman Empire: Enver Pasha, Military Minister and and de facto dictator of the Ottoman Empire; Talaat Pasha, Minister of Internal Affairs; and Ahmed Djemal Pasha, Minister of Marine. Those three were obviously prone to Germanophilism.
Young Turks, in their attempts to find ways for quickly reorganizing their army defeated in the Balkan wars, looked at Germany with hope. That is why they happily met Germany's proposal to send a military mission to the Ottoman empire, which was received. On 8 October 1913, an agreement was signed between Germany and the Ottoman Empire, which gave the Sanders military mission extensive rights (M.Larcher, La guerre Turque dans la guerre mondiale: 609-610).
The German military mission undertook considerable work in the Ottoman Empire prior to the war. The members of the mission had responsible positions in the local general staff, border corps and fortifications. The history of the period in question became especially relevant from the beginning of the 50s of the twentieth century. However, many details and features of these liasons have not yet been fully investigated, comprehensively studied and scientifically substantiated.

Keywords: *Transcaucasia, Georgia, Germany, Ottoman Empire, Erzurum and Sarikamish operation.*

JEL classification: *B1, B5*

ნუგზარ ზოსიძე
E-mail:n.zosidze@bsu.edu.ge
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-2613-3365

საქართველო გერმანიისა და მის მოკავშირეთა გეგმებში პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე (სამარი ოპერაციები ამიერკავკასიის ფრონტზე)

აბსტრაქტი. *მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპაში უკვე არსებობდა ორი დიდი ურთიერდაპირისპირებული მტრული კოალიცია - ,,სამთა კავშირი" და ,,სამთა შეთანხმება" „ანუ ანტანტა". ,,სამთა კავშირში" თავდაპირველად შედიოდნენ: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეს უკანასკნელი გამოეთიშა ბლოკს, მაგრამ შეუერთდნენ ოსმალეთი და ბულგარეთი, ასე ჩამოყალიბდა ,,ოთხთა*

შეთანხმება", მასში შემავალმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს ,,ადგილი მზის ქვეშ" და ვარაუდობდნენ ომის გზით წაერთმიათ კოლონიები ანტანტის ქვეყნებისათვის.

,,ანტანტის" ძირითად ბირთვს შეადგენდნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი კოლონიური იმპერიები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი. სწორედ ამ ორ იმპერიალისტურ დაჯგუფებას შორის გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი 1914-1918 წწ, რომელშიც სხვადასხვა კონტინენტის 38 სახელმწიფო მონაწილეობდა.

ომი ორივე მხრივ იყო იმპერიალისტური, უსამართლო და დაპყრობითი. მას შედეგად მოჰყვა მილიონობით ადამიანის დაღუპვა და დასახიჩრება, გრანდიოზული მასშტაბების ნგრევა და გაჩანაგება.

გერმანიის და მისი მოკავშირეების გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას და იქიდან რუსეთის განდევნას. ინტერესთა ამ ერთიანობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათთან ოსმალეთის დაახლოება, რასაც საფუძველი ჩაეყარა ,,ახალგაზრდა თურქთა" 1908 წ. რევოლუციის შემდეგ, ოსმალეთის იმჟამინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიკვეთა სამი ლიდერი: ენვერ ფაშა „სამხედრო მინისტრი და ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი", თალაათ-ფაშა „შინაგან საქმეთა მინისტრი", და აჰმედ ჯემალ-ფაშა „სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი". ისინი აშკარა გერმანოფილობით გამოირჩეოდნენ.

ახალგაზრდა თურქები, ფიქრობდნენ რა უსწრაფესად მოეხდინათ ბალკანეთის ომებში დამარცხებული თავიანთი არმიის რეორგანიზაცია იმედის თვალით უყურებდნენ გერმანიას. ამიტომაც ისინი სიხარულით შეხვდნენ გერმანიის წინადადებას ოსმალეთში სამხედრო მისიის გაგზავნის თაობაზე. მისია ოსმალეთში მიიწვიეს 1913 წ. ოქტომბერში გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც სანდერსის სამხედრო მისიას ფართო უფლებებს აძლევდა (M.Larcher, La guerre Turque dans la guerre mondiale: 609-610.).

გერმანიის სამხედრო მისიამ ომის წინ ოსმალეთში ჩაატარა დიდი სამუშაო, მისიის წევრებმა საპასუხისმგებლო თანამდებობები დაიკავეს ადგილობრივ გენშტაბში, სასაზღვრო კორპუსებსა და სიმაგრეებში. საკვლევი პერიოდის ისტორიის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან. თუმცა ამ ურთიერთობების მრავალი დეტალი და თავისებურებანი, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული, ბოლომდე შესწავლილი და მეცნიერულად დასაბუთებული.

მეთოდოლოგიური მიდგომა: *სტატიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები, პუბლიცისტური წყაროები, ამ საკითხებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და ჩვენი კვლევის შედეგები. თეორიულ და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით განსაზღვრული კვლევის კონკრეტული და ზოგადი მეთოდები მიზნად ისახავს კვლევის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.*

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები: *ნაშრომის თეორიულ- მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება. ძირითადი პრინციპებია: ყოველმხრივობა, სისტემატურობა, ობიექტურობა, ისტორიული, ლოგიკური და დიალექტიკური განვითარების ერთიანობა. კვლევის ძირითადი მეთოდებია: ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და წყაროთა პრიორიტეტულობის დადგენის ხერხები.*

საკვანძო სიტყვები: *ამიერკავკასია; საქართველო; გერმანია; ერზერუმისა და სარიყამიშის ოპერაცია;*

JEL კლასიფიკაცია : *B1, B5*

1914 წ. 1 აგვისტოს ევროპაში გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი, მეორე დღესვე ოსმალეთმა გერმანიასთან ხელი მოაწერა საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულებას. პარალელურად, ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, ეს იყო დიპლომატიური დემარში, რომლის მიზანს შეადგენდა ანტანტის სახელმწიფოების სიფხიზლის მოდუნება. ამის შესახებ ჯემალ-ფაშა[1] თავის მემუარებში წერდა: ,,ჩვენ ნეიტრალიტეტი გამოვაცხადეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მოგვეგო. ჩვენ ველოდით მომენტს, როდესაც მობილიზაცია დამთავრდებოდა და შევძლებდით ომში ჩაბმას"(Джемал-паша. Записки, 1913-1919 гг. : 101-102.).

1914 წლის 1 აგვისტოს რუსეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება. მიუხედავად ეკონომიკური და სამხედრო სტრატეგიული მოუმზადებლობისა, ომში პატრიოტული ხმაურითა და ზარ-ზეიმით ჩაებნენ. მოკავშირეებთან საფრანგეთთან და ინგლისთან. ფარული შეთანხმებანი, პარიზისა და ლონდონის ბანკებიდან მიღებული მრავალმილიონიანი სესხები, დაბოლოს, საკუთარი იმპერიალისტური მისწრაფებანი ცარიზმს იძულებულს ხდიდა საომარ ფრონტზე მობილიზება მოეხდინა ასიათასობით ჯარისკაცებისა. საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადებიდან მეთორმეტე დღეს რუსეთის არმია აღმოსავლეთ პრუსიაში შეიჭრა.

მართალია საომარი ფრონტი ამიერკავკასიიდან შორს, დასავლეთის ფრონტზე მიმდინარეობდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამიერკავკასია, ევროპის უმსხვილეს სახელმწიფოთა ამ ჭიდილში შორეული ზურგის მდგომარეობას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა. მას უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთის იმპერია, რომლის ხელისუფლება იყო რა, გერმანია-ავსტრიის ბლოკის წევრი სახელმწიფო აქტიურად ემზადებოდა ამ ბრძოლისათვის.

1914 წ. 2 აგვისტოს ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ ეს იყო მოწინააღმდეგის მოდუნების განსაზღვრული ქმედება, რომლის მიზანს რუსეთისა და მისი მოკავშირეების მოდუნება შეადგენდა. სინამდვილეში ოსმალეთის მთავრობა უკვე იწყებდა ომს, რადგან ამავე დღეს ხელი მოაწერა გერმანიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას. (Карл Мюльман, Германо-турецкий военный союз в мировой войне: 12.) ამ ხელშეკრულებით ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა ცენტრალური ბლოკების შეჯახებაში გერმანიის მხარეზე გამოსულიყო და რუსეთისათვის ომი გამოეცხადებინა. ამავე ხელშეკრულებით მისი არმია მთლიანად გერმანიის სარდლობის დაქვემდებარებაში ექცეოდა. ომში გერმანიის დახმარებით, ლამობდა პრაქტიკული მსვლელობა მიეცა თავისი პანისლამისტურ-პანთურქისტული პროგრამისათვის, რომელიც ოტომანთა იმპერიის ძალაუფლების ქვეშ ამიერკავკასიის, ყირიმის, დაღესტნის, პოვოლჟიესა და შუა აზიის გაერთიანებას ითვლისწინებდა.

არავისათვის საეჭვო აღარ იყო, რომ საერთო ევროპული ომის დაწყებისთანავე ოსმალეთი ამ ომში აუცილებლად ჩაებმებოდა. რუსეთის გენერალურ შტაბს, შემუშავებული ჰქონდა მოქმედებისა და ძალთა სტრატეგიული დაჯგუფების ოთხი ვარიანტი, რომელიც დაწვრილებით იყო დამუშავებული კავკასიის სამხედრო ოპერატიული განყოფილების მიერ. ეს ვანრიანტებია: 1) რუსეთ-ოსმალეთის ორთაბრძოლა, 2) ოსმალეთი ომის დაწყებისთანავე რუსეთის მტრულ კოალიციაში შედის, 3) ოსმალეთი დასაწყისში ნეიტრალიტეტს აცხადებს, ხოლო დასავლეთში რუსეთისათვის მძიმე მომენტში, თავს ესხმის ამერკავკასიას, 4) ოსმალეთის სრული ნეიტრალიტეტი დასავლეთში კოალიციური ომის დროს. (სსცია, ფ. 83, ანაწ. 9, საქ. 39: 1; Генерал-лейтенант Н.Г. Корсун, Первая мировая война на Кавказском фронте : 20.)

გალიციის ფრონტზე ავსტრიის არმიის თითქმის განადგურების შემდეგ, გერმანიის მმართველმა წრეებმა გააძლიერეს ოსმალეთზე დაწოლა და რუსეთის წინააღმდეგ ომის დაუყოვნებლივ დაწყება მოსთხოვეს. 26 ოქტომბერს, ენვერ ფაშამ ადმირალ სუშონს

[1] **აჰმედ ჯემალ-ფაშა** (ოსმ. جمال احمد, თურქ. Ahmet Cemal Paşa; დ. 6 მაისი, 1872, მიტილინი, კ. ლესბოსი, ოსმალეთის იმპერია —მოკლული იქნა 1922 წლის 21 ივლისს 1922 ქალაქ თბილისში, საქართველოს სსრ)მკვლელობა ქალაქის ცენტრში, რესპუბლიკის ჩეკას შენობის წინ მოხდა. სხვა ვერსიის მიხედვით ჯემალ-ფაშა მოკლა საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტებმა, ხოლო კიდევ ერთი ვერსიის მიხედვით მკვლელობა ბრიტანულმა დაზვერვამ ჩაიდინა. — ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სირიის სრულუფლებიანი სამხედრო და სამოქლაქო ადმინისტრატორი (1915-1917 წწ.); ახალგაზრდა თურქების მოძრაობის ცნობილი წევრი., ისლამურ სამყაროში მოიხსენიებდნენ როგორც „ისლამის ლომს"(https://ka.wikipedia.org/wiki).

ნებართვა მისცა საზღვაო ფლოტი შავ ზღვაში გაეყვანა. 29 ოქტომბრს ოსმალეთის საზღვაო ესკადრა თავს დაესხა რუსეთის ხომალდებს, სევასტოპოლი და სხვა რუსული ქალაქები დაბომბეს. პანთურქისტი ლიდერების ამ ნაბიჯმა ოსმალეთის საზოგადოებრივი წრეები შეაშფოთა. პანიკა შეიქმნა თვით მთავრობაშიც.

ოსმალეთის მთავრობამ ვერ შეძლო შეესრულებინა ამ ინციდენტთან დაკავშირებით ანტანტის სახელმწიფოთა მოთხოვნები (გერმანელი ოფიცრების დაუყოვნებლივ დათხოვნა და გაწვევა ოსმალეთიდან). ანტანტის ელჩებმა კონსტანტინეპოლი დატოვეს. 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთმა თურქებს ომი გამოუცხადა.

რუსულ ისტორიოგრაფიაში დღეასაც დომინირებს მოსაზრება, რომ არც რუსეთს აწ-ყობდა ოსმალეთის ნეიტრალიტეტი, რადგან გეგმავდა მასთან წარმატებული ომით გადაეწ-ყვიტა მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონების სანუკვარი მიზანი (Корсун Н.Г. Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк) : 3).

აგვისტოს დასაწყისში გერმანელებმა შავ ზღვაში შემოიყვანეს და ოსმალებს გადასცეს ჯავშნოსანი დრედნოუტი ,,გებენი'' და კრეისერი ,,ბრესლაუ'' ადმირალ სუშონის მეთაურობით, იგი მალე გამოცხადდა ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდლად.

12 აგვისტოს კავკასიაში გამოცხადდა სამხედრო წესები. რუსეთის მთავრობამ ოსმა-ლეთს წაუყენა ულტიმატუმი და მოსთხოვა დემობილიზაცია, მაგრამ ამაოდ, ოსმალეთი განაგრძობდა ომისათვის გაძლიერებულ მზადებას, მას უკვე მობილიზებული ყავდა 38 დივიზია 400 000 ჯარისკაცითა და 24 000 ოფიცერთა კორპუსით. რუსეთის კონსტანტინო-პოლელი ელჩი გირსი იუწყებოდა: ,,მთელი თურქეთი გადაქცეულია სამხედრო ბანაკად და განწყობილებაც მეომრულია'' (АВПР. Ф. «Канцелария», оп. 470, д. 109, т. 1 : 22-23, 66).

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ კავკასიის ფრონტზე არზრუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. აქვე გადაისროლეს თვითმფრინავები, რომლებსაც გერმანელი პილოტები მართავდნენ (სცსსა. ფ. 13, ან. 27, საქ.3361 : 5-13.). ძალების კონცენტრაცია ხდ-ებოდა ოსმალეთის შავიზღვისპირა ქალაქებში. განსაკუთრებული ყურადღება ოსმალეთის სამხედრო სტრატეგიაში ეთმობოდა ბათუმის მიმართულებით სამხედრო ოპერაციების წარმართვას. იგი განიხილებოდა ამიერკავკასიაში შემდგომი შეტევის პლაცდარმად, ამი-ტომაც, სარდლობამ ამიერკავკასიის საზღვარზე განლაგებულ ჯარებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა ბათუმის დაკავება. 1914 წ. სექტემბრის დასაწყისში ენვერ-ფაშამ მე-3 არ-მიას მისცა შემდეგი დირექტივა: ,,არმია კონცენტრირებული უნდა იქნეს არზრუმის რაიო-ნში იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს რუსეთის არმიის შემოტევის შემთხვევაში თვითონვე შეუტიოს თავისი ჭარბი ძალებით მის ცალკეულ კოლონებს. ამავე დროს, არმიამ უნდა შეძლოს საზღვრის გადალახვა იმ შემთხვევაში, თუ რუსების შემოტევა არ მოხდება. ასეთ შეტევას, ჩვენი აზრით, აქვს წარმატების შესაძლებლობა, თუ მას მიმართულება ექნება ბა-თუმისა და არტაანისაკენ, ეს მოგვიტანს ბატონობას შავ ზღვზე, რაც ჩვენთვის აუცილებე-ლია რუსების მიერ ყარსის ძლიერი გამაგრების გამო'' (Мюльман К. Германо-турецкий военный союз в мировой войне, Перевод с немецкого (машинописное издание): 29).

ოპერაციის წარმატებულად განხორციელების მიზნით დაიგეგმა ბათუმის მახლობლად დიდი საზღვაო დესანტის გადმოსხმაც, რისთვისაც ოსმალეთში მობილიზა-ციის გამოცხადებისთანავე ზღვისპირეთის მცხოვრებთ ჩამოართვეს ფელუგები. დაიწყო სადესანტო ნაწილების მომზადება, მაგრამ ბათუმის კარგად გამაგრებული სანაპირო ზო-ლის და გერმანია-თურქეთის ფლოტის მოუმზადებლობის გამო ამ გეგმის განხორციელება სახიფათოდ ჩათვალეს. გადაწყდა, ძირითადი აქცენტი კავკასიაში სახმელეთო ბრძოლებზე გადაეტანათ.

ბერლინიდან კონსტანტინეპოლში მიიღეს მითითება, რომ დაეჩქარებინათ იმ ღონის-ძიებების განხორციელება, რომლებსაც შეეძლებოდათ გამოეწვიათ მღელვარებები და სხვა უწესრიგობანი კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში.

ქალაქ ბათუმში ოსმალეთის კონსულმა აქ მყოფ ყველა თანამემამულეს ამცნო ქვეყნის ომისათვის მზა¬დება და უბრძანა - სასწრაფოდ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში (სცსსა. ფ. 1577 ან. 1 საქ.320 : 84.).

კავკასიის ფრონტის გახსნას მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ავსტრია-უნგრეთის სამე-ფო კარიც. ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის ძალების მოზიდვისათვის ვენელი პოლიტიკო-სები გეგმავდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანთა აჯანყების ორგანიზებასაც.

ამავე მიზნით ავსტრიის ტრაპიზონელმა კონსულმა კვიატკოვსკიმ კონტაქტები დაამყარა ამიერკავკასიის ნაციონალისტურ ჯგუფებთან.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით დიდ ვეზირს აცნობეს, რომ ომში გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი შეძლებდა საზღვრების რეგულირებას კავკასიაში (W.Bihl, Die Kaukasus Politik der Mittelmächte, Teil I (1914-1917):127-129).

ოსმალეთის წინაშე დასახულ საომარი მოქმედების ირითადი მიმართულებიდან, გერმანია ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა სუეცის არხიდან და ეგვიპტიდან ინგლისელების განდევნას და ამისკენ დაჟინებით მოუწოდებდა თავის მოკავშირეს. დიდი ზესახელმწიფოს (თურანი) შექმნის მოიმედე ენვერ-ფაშას[2] უპირველეს ამოცანად მიაჩნდა კავკასიის დაპყრობა, აქედან შუა აზიასა და ვოლგისპირეთში გაჭრა და მაჰმადიანებით დასახლებული ამ რეგიონების შეერთება. ამიტომაც გერმანელი მოკავშირეების სურვილისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, მთელი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის საკითხი ოსმალეთის მმართველი წრეებისათვის წარმოადგენდა, საგარეო ექსპანსიონისტური პოლიტიკის ძირითად პრობლემას (ნ. ზოსიძე, ,,პოლიტიკური ვითარება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში'' : 43).

1914 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ოსმალებმა ამიერკავკასიის საზღვრებზე თავი მოუყარეს მე-3 არმიის ძირითად ძალებს, ამას ემატებოდა ქურთთა საკავალერიო დივიზია. ოსმალთა ძალების საერთო რაოდენობამ ამ რეგიონში 190 000 კაცი შეადგინა. მე-3 არმიის შემადგენლობაში მრავლად იყვნენ გერმანელი ოფიცრები, რომლებსაც საკომანდო პოსტები ეკავათ.

ენვერ-ფაშა და მისი თანამოაზრეები მზად იყვნენ ჩაბმულიყვნენ ომში, მაგრამ სულთანმა ანგარიში გაუწია მინისტრთა კაბინეტში ომის მოწინააღმდეგე უმრავლესობას და მანიფესტს ომის გამოცხადების შესახებ იმჯერად ხელი არ მოაწერა.

შექმნილ ვითარებაში ენვერ-ფაშამ და სანდერსმა გადაწყვიტეს გერმანია-ოსმალეთის ფლოტით მოულოდნელად დაებომბათ რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქები და ამით სულთნის მთავრობა დაეყენებინათ ფაქტის წინაშე. ოქტომბერს, სამხედრო წვრთნის მომიზეზებით, ფლოტი ზღვაში გავიდა. მათ დაბომბეს სევასტოპოლი, ოდესა, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი, ჩაძირა რუსეთის რამდენიმე გემი და ერთი ფრანგული სავაჭრო ხომალდი. ამავე დროს ოსმალეთის ჯარებმა კავკასიაშიც დაიწყეს სამხედრო მოქმედება. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, 22 ნოემბერს კი სულთანმა გამოაცხადა ,,საღვთო ომი'' ანტანტის წინააღმდეგ.

რუსეთის კავკასიის ფრონტის სარდლობა მთავარ მიმართულებად თვლიდა არზრუმს, სადაც თავმოყრილი იყო ოსმალეთის მე-3 არმიის ძირითადი ძალები და სარდლობა. რუსეთის არმიის სარდლობა ანიჭებდა რა უპირატესობას დასავლეთის ფრონტს, ომის დაწყებისთანავე ამიერკავკასიიდან დასავლეთში გადაისროლა ორი საარმიო კორპუსი და კაზაკთა ხუთი დივიზია. ადგილზე კი კადრის ნაწილების ნაცვლად ფორმირებულ იქნება სათადარიგო ნაწილები. სახელდახელოდ ფორმირებულ, გაუწვრთნელ სათადარიგო ნაწილებს, ცხადია, კადრის არმიის შეცვლა არ შეეძლოთ. ამიტომ ომის დაწყებისთანავე კავკასიის არმიის პირადი შემადგენლობის, თუ არ ჩავთვლით ერთ საკადრო ქვეით დივიზიასა და რამდენიმე მსროლელ ბრიგადას, საბრძოლო მომზადება დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლებოდა.

---

[2] **ისმაილ ენვერი**, აგრეთვე ცნობილი როგორც **ენვერ-ფაშა** ან (თავდაპირველად) **ენვერ-ბეი** (ოსმ. اسماعیل انور پاشا, თურქ. Enver Paşa, დ. 22 ნოემბერი, 1881 — გ. 4 აგვისტო, 1922)- ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პანთურქიზმის იდეოლოგი და პრაქტიკაში გამტარებელი. 1908 წლის ახალგაზრდა თურქების რევოლუციის აქტიური მონაწილე, ახალგაზრდა თურქების პარტიის „ერთიანობა და პროგრესის“ ერთ-ერთი ლიდერი. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის დროებითი ზავის ხელმოწერის შედმდეგ ტრიუმვირატის წევრებთან ერთად გაიქცა ქვეყნიდან. სტამბოლში გამართულმა სამხედრო საველე ტრიბუნალმა მას დაუსწრებლად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.1919 წელს შეხვდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კარლ რადეკს და მოლაპარაკებების შემდეგ შუა აზიაში სათავეში ჩაუდგა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ბრძოლას. მოგვიანებით შეუერთდა ბასმაჩების მოძრაობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გარდაიცვალა 1922 წლის 4 აგვისტოს წითელი არმიის ნაწილებთან ბრძოლაში, თანამედროვე ტაჯიკეთის სოფელ ბალჯუანში. ენვერ-ფაშას საფლავს მიაკვლიეს 1996 წელს და ტაჯიკეთიდან გადაასვენეს სტამბოლში. დაკრძალეს ქაგლაიანის რაიონის მემორიალურ მთაზე, თალაათ-ფაშას გვერდით(https://ka.wikipedia.org/wiki/).

კავკასიის არმიის საბრძოლო ამოცანას შეადგენდა ორი ძირითადი კომუნიკაციის - ბაქო - ვლადიკავკაზის რკინიგზის და თბილისის - ვლადიკავკაზის სამხედრო გზის - როგორც ამიერკავკასიის რუსეთთან დამაკავშირებელი არტერიების-შენარჩუნება, ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრის - ბაქოს - დაცვა, თურქეთის არმიის კავკასიის ტერიტორიაზე შემოჭრის დაუშვებლობა. რუსეთის გენერალური შტაბის გეგმით თურქეთთან ომის საბოლოო ობიექტად დასახული იყო კონსტანტინეპოლი და ანატოლია. სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე თურქეთის მიერ ომის გამოცხადებისთანავე დაიწყო.

თავდაპირველად კავკასიის ფრონტის რუსულმა სარდლობამ მიზანშეწონილად სცნო შეეტიათ ერზერუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით. ერზერუმის რაზმებმა ხანმოკლე შეტევის შემდეგ დაიკავეს კარა-დერბენტის მთის გადასასვლელები. ოლთისის რაზმებმა სარიყამიშის შემოვლით უკუაგდეს რა თურქეთის შემტევი დივიზია, წინ წაიწიეს. ერევნის მიმართულებით რუსეთის ჯარებმა გადალახეს აგრიტაგის უღელტეხილი, დაეუფლნენ ბაიაზეთს, დიადინს, ალაშკერტს და კარაკლისს. მოწინააღმდეგის სიღრმეში ასეთი სწრაფი შეჭრა, როცა რეზერვები და ზურგი სათანადოდ წინწაწეული არ ყოფილა, აგრეთვე ერზერუმში თურქთა გაძლიერებული შენაერთების კონტრშეტევის საფრთხე, რუსეთის არმიის სარდლობას აიძულებდა უკან დაეხია. თურქებმა, შავი ზღვის სანაპიროების გასწვრივ ჭარბი ძალების მეოხეობით დაიკავეს ართვინი, ბორჩხა. ისინი ბათუმის სანაპირო რაიონებშიც შეიჭრნენ, მაგრამ ამ მიმართულებით თურქეთის ჯარების წინსვლა რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალებმა შეაჩერეს.

პირველი თვის საომარი მოქმედების შედეგები თურქეთის მმართველი წრეების ავანტიურისტული გეგმების ჩაშლაზე მიუთითებდნენ. კეპრიკეის ნოემბრის ოპერაციაში, რომელიც საერთოდ უშედეგოდ დამთავრდა, ოსმალეთმა დაკარგა 15000 კაცი, რუსეთმა - 6000.

კავკასიის ფრონტზე გადამწყვეტი წარმატებების მიპოვების მიზნით ოსმალებმა თავი მოუყარეს დიდ ძალებს ერზერუმში. ოსმალეთის მესამე არმიის პესიმისტურად განწყობილი სარდალი ჰასან-იზეტ-ფაშა, თვით სამხედრო მინისტრმა და ოსმალეთის საშიში ავანტიურის ინიციატორმა ენვერ ფაშამ შეცვალა. გერმანულ სამხედრო სტრატეგიის ტრადიციაზე გაზრდილმა ენვერმა გადაწყვიტა სწრაფი შეტევა დაეწყო სარიყამიშის რაიონში და რუსეთის ჯარებისათვის მოეწყო შლიფენური კანნა, ხოლო შემდეგ ყარსი და ბათუმი დაეკავებინა.

9 დეკემბერს ოსმალეთის არმიამ გენერალური შეტევა დაიწყო. ოსმალეთის მე-9 და მე-10 კორპუსებს დაკისრებული ჰქონდათ ოლთისის დაჯგუფების განადგურება (სსცია, ფ. 1844, საქ. 70 : 89). მე-17 და 29-ე ქვეითი დივიზიებით სარიყამიშზე ენვერ ფაშამ შეუტია. სისხლისმღვრელი ბრძოლები ოსმალეთისა და რუსეთის ძალებს შორის 10 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე გრძელდებოდა (Карл Мюльман, Германо-турецкый военный союз в мировой войне:61.). მიუხედავად რიცხობრივი სიჭარბისა, ენვერ ფაშასა და მისი გერმანული შტაბის უხეში ტაქტიკური შეცდომების მეოხეობით, ოსმალეთის ძალები თანდათან სუსტდებოდნენ.

სარიყამიშის ოპერაცია დაიწყო 1914 წ. 22 დეკემბერს. ოსმალეთის არმია შეტევაზე გადმოვიდა მთელ ფრონტზე. რასაც მოჰყვა რუსეთის არმიის კონტრშეტევა სარიყამიშის მთლიან ფრონტზე. ალყაშემორტყმულ იქნა თურქთა მე-9 კორპუსი, რომელიც მთლიანად რუსებს დანებდა(Корсун, Первая мировая война...: 96.). 25 დეკემბერს მან დაიკავა გამაგრებული პუნქტები სარიყამიშის მარჯვენა ფლანგზე. იმავე დღეს მარჯვენა ფლანგიდან შემტევმა შტანკეს რაზმმა აიღო არტაანი. შტანკეს წინააღმდეგ აქ იბრძოდა არტაანის რაზმი გენერალ გენიკის მეთაურობით. არტაანის დატოვების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან რიცხობრივად ჭარბი შტანკეს რაზმი წინ მოიწევდა ახალციხისაკენ. გენიკის რაზმის დასახმარებლად თბილისიდან გაიგზავნა ციმბირელ კაზაკთა ბრიგადა გენერალ კალიტინის მეთაურობით, აგრეთვე გენერლების გაბაშვილისა და ისტომინის მსროლელთა ბრიგადები. 28 დეკემბერს, ღამის ბრძოლაში გენერალ-მაიორ ვასილ გაბაშვილის[3]

---

[3] **ვასილ გაბაშვილი** ასევე ცნობილი, რუსუფიცირებული სახელით **ვასილი დავითის ძე გაბაევი** (რუს. Василий Давидович Габаев) (დ. 30 მარტი, 1853 – გ. 17 მარტი, 1933) — ქართველი სამხედრო მეთაური რუსეთის იმპერიის და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში. იბრძოდა I მსოფლიო ომში. გაბაშვილი მსახურობდა რუსეთის იმპერიის ჯარში, როგორც ოფიცერი და მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. 1908 წლის 28 ნოემბერს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, ხოლო 1913 წელს – გენერალ-ლეიტენანტის. 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის ივლისამდე იყო კავკასიის მოტომსროლელთა მე–3–ე ბრიგადის მეთაური. 1915 წლის 17

კოლონამ გაანადგურა ოსმალეთის 32- ე ქვეითი დივიზია (Корсун, Первая мировая война... : 36-37). გენერალ გაბაშვილის რაზმებმა 1915 წ. იანვრის დასაწყისში მასირებული დარტყმებით ჯერ შეაჩერეს, შემდეგ კი გაანადგურეს შტანკეს რაზმი. გამარჯვებულებმა დაატყვევეს 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაეუფლნენ დიდძალ საბრძოლო საჭურველს. მალე რუსთა ჯარმა ბრძოლით დაიბრუნა ქ. არტაანი. შტანკემ ოლთისს მიაშურა, მაგრამ რუსთა არმია კვალდაკვალ მისდევდა და ანადგურებდა მას. შტანკემ რამდენიმე ასული კაცით ძლივს დააღწია თავი ბრძოლებს და ართვინისაკენ დაიხია (იქვე: 33-37).

რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც. ასე რომ სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა. მათ 90 000 ათასი ჯარისკაციდან ამ ბრძოლაში დაკარგეს 70 000 ათასი, აქედან 30 000 ათასი მოყინულთა სახით. რუსთა დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო 20 000 ათასი კაცი. ამრიგად, ოსმალეთის არმიის შეტევა სარიყამიშის და ოლთისის მიმართულებით სამარცხვინოდ ჩაიშალა. ამ ოპერაციას გადაჰყვა ოსმალეთის მესამე არმია.

გამარჯვებების ღირსეული თანამონაწილეები იყვნენ ქართველებიც. 2,3 მილიონიანი საქართველოდან ომში 300 000 ათასზე მეტი კაცი იქნა მობილიზებული. პატრიოტული აღტყინება განსაკუთრებით საგრძნობი იყო კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ, რაც მადლიერებით შეაფასა ხელმწიფე - იმპერატორმაც (ს.ც.ს.ს.ა, ფ. 13. ან. 27, ს. 3193 :.33.).

საქართველომ მსოფლიო ომში გაგზავნა ბრწყინვალე ოფიცრობა და გენერალიტეტი, საარაკო გმირობისა და შეუპოვრობის არაერთი მებრძოლი. მათგან გამორჩეულია ტარასი ვაშაკიძე ,,შაითან კაპიტანი"', რომელმაც ერთი ასეულით სარიყამიშთან უმსხვერპლოდ დაატყვევა 2 ათასი ასკერი, ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის სარდლობა ისხან-ფაშას მეთაურობით. სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის ჯარებმა საომარი მოქმედება ოსმალეთის ტერიტორიაზე გადაიტანეს.

დამარცხებულმა ენვერ ფაშამ თავისი შტაბით ერზერუმიდან სტამბოლში გაიქცა, ის სარიყამიშის ტრაგედიას თავის ხალხს დიდი ხნის განმავლობაში უმალავდა. რუსეთის არმიამ თავისი პოზიციები ამ ოპერაციაში მტკიცედ შეინარჩუნა. ამავე დროს მისი დანაკარგი ოსმალეთისაზე 3½-ჯერ ნაკლები იყო.

სარიყამიშმა განამტკიცა კავკასიის არმიის მდგომარეობა არა მარტო ერზერუმის მიმართულებით, არამედ სპარსეთშიც. პრაქტიკულად ჩაიშალა გერმანიისა და ოსმალეთის იმედები – შეექმნათ კავკასიის ხალხებში რაიმე დასაყრდენი, რაზედაც მათი ემისრები ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მუშაობდნენ. ენვერი, მაგალითად, დარწმუნებული იყო, რომ მისი ემისრების გამოჩენა კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში საკმარისი იყო რუსეთის წინააღმდეგ მათი ამხედრებისათვის. სარიყამიშის ოპერაციის წინ ამ მიზნით მან აჭარაში თავისი ერთგული პირები გააპარა. აჭარის მოსახლეობა არ აჰყვა ოსმალეთის აგენტების დაპირებას. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რუსეთისა და მის არმიას ყოველმხრივ ხელს უწყობდა შეტევის წარმოებაში. ოსმალეთის მიერ დროებით ოკუპირებული ადგილებიდან აჭარის მოსახლეობა ჩრდილოეთისაკენ გარბოდა, ან მომხდურთა ჯარისკაცებს ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდა. ოსმალეთის ჯარის შეტევის დროს იყო შემთხვევა, რომ მათ (ადგილობრივმა მოსახლეობამ) ტყვეობიდან გაათავისუფლეს რუსი ჯარისკაციც (სტრაჟნიკი კასიანოვი). მუსლიმანი მოსახლეობა კავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილებს დათოვლილი უღელტეხილების გაწმენდაში ეხმარებოდა და უფასოდ აწვდიდია საკვებ პროდუქტებს სამხედრო ნაწილებს – ნათქვამია ერთ-ერთი რუსი მოხელის ანგარიშში (ოთარ გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა : 20).

სარიყამიშის ბრძოლაში მძიმე მარცხმა დაამსხვრია ენვერისა და სხვა პანთურქისტების ფართო გეგმები. გერმანიის მმართველი წრეების მიერ თურქეთისათვის დახატული ბრწყინვალე მომავალი ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა.

მაისის უმაღლესი ბრძანებით დაჯილდოვდა წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1916 – 1917 წლებში იყო თბილისის სამხედრო კომენდანტი, რის შემდეგაც ის დაინიშნა ახლადშექმნილი ქართული სამხედრო კორპუსის მეთაურად. შეინარჩუნა უმაღლესი სამხედრო პოსტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში, მაგრამ პენსიაში გავიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი დამყარების შემდეგ(https://ka.wikipedia.org/wiki/).

სარიყამიშის ოპერაციამ ომის აზიურ-თურქულ ასპარეზზე დიდი გავლენა მოახდინა. კავკასიის ფრონტზე თითქმის განადგურებული მესამე არმიის შესავსებად ოსმალეთი იძულებული გახდა ახალი ძალები სხვა ფრონტიდან გადმოეყვანა. ამან ინგლის-საფრანგეთს მოქმედება გაუადვილა მესოპოტამიასა და სირიაში. სარიყამიშში წარმატების შემდეგ, ინგლის-საფრანგეთის სარდლობა იმით შეშფოთებული, რომ რუსეთი კონსტანტინოპოლში პირველი არ შესულიყო, იძულებული გახდა მეტი აქტიობა გამოეჩინა და 1915 წლის თებერვლისათვის დაეწყო დარდანელის ოპერაცია.

რუსეთის ჯარებმა ასევე წარმატებით განავითარეს შეტევა კავკასიის ფრონტის სხვა უბნებზეც. 1916 წ. თებერვალში მათ ბრძოლით დაიკავეს მე-3 არმიის სარდლობის შტაბის ციტადელი-ქალაქი არზრუმი.

არზრუმის დაკარგვამ ძლიერ შეაშფოთა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მმართველი წრეები. ბერლინიდან სტამბოლში სასწრაფოდ მიავლინეს ფელდმარშალი მაკენზენი. გაიმართა სამხედრო საბჭოს თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: მაკენზენი, სანდერსი, ავსტრიელი გენერალი პომიანკოვსკი, ენვერ-ფაშა, ოსმალეთის მთავარსარდლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, გერმანიისა და ავსტრიის სამხედრო მისიების წევრები (გაზ. ,,თანამედროვე აზრი'': №32). ფელდმარშალი მაკენზენი დაინიშნა კავკასიის ასპარეზზე მოქმედი ჯარების მთავარსარდლად. გადაწყდა აქეთ გადაესროლათ ახალი ნაწილები, რომ შეექმნათ რიცხობრივი უპირატესობა, შეეჩერებინათ რუსთა ჯარები და შემდეგ კონტრშეტევით დაებრუნებინათ არზრუმი. ამ მიზნით თურქეთის სხვა ფრონტებზე, კერძოდ პალესტინაში მოხსნეს მნიშვნელოვანი ძალები, რამაც გააუმჯობესა ინგლისელების მდგომარეობა სუეცის არხთან და ერაყში.

რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა აღნიშნული თათბირისა და მზადების შესახებ. გადაწყდა დაესწროთ მოწინააღმდეგისათვის და არ მიეცათ ძალების თავმოყრის საშუალება. ამიტომაც საჭიროდ ჩათვალეს უმოკლეს დროში აეღოთ ქ. ტრაპიზონი, რომელიც წარმოადგენდა სტამბოლთან მე-3 არმიის დაკავშირების და მომარაგების ძირითად საზღვაო პუნქტს.

ტრაპიზონზე შეტევისათვის მზადების პერიოდში რუსეთის სარდლობამ თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს: აპრილის შუა რიცხვებში ნოვოროსიისკიდან აქ ზღვით გადმოიყვანეს პლასტუნთა ორი ბრიგადა, სამთო-საარტილერიო დივიზიონი და სხვა ნაწილები, სულ 18 000 ათასზე მეტი კაცი. ოპერაციის დაწყების წინ ზღვისპირეთის რაზმის პირადი შემადგენლობა 32000- ზე მეტ მებრძოლს მოითვლიდა (История Первой мировой войны, т. 2 : 224, 270, 272).

ტრაპიზონზე შეტევა დაიწყო 1916 წლის 14 აპრილს. რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების ერთობლივი მოქმედებით უკვე 18 აპრილს ტრაპიზონი დაეცა. ოსმალებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ნავსადგური. ახლა რუსეთის სარდლობას საშუალება მიეცა ტრაპიზონით მოემარაგებინა არა მარტო ზღვისპირეთში მოქმედი ჯარები, არამედ არზრუმის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიც.

რუსეთის ჯარების მიერ არზრუმისა და ტრაპიზონის დაუფლებით ფრონტის ხაზმა ბათუმიდან შორს, სამხრეთ-დასავლეთით გადაიწია. ამიერიდან ოსმალეთის არმიას ძალა აღარ შესწევდა შეტევითი ოპერაციებისათვის. ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენერალი ფონ ბრონსარტი 1917 წ. 2 ივნისს ლუდენდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ იმ სამმილიონიანი მებრძოლიდან, რომელიც ოსმალეთის ომის დასაწყისში ჰყავდა, 1917 წ. 1 მარტისათვისათვის მწყობრში იყო მხოლოდ 1 200 000 კაცი (Мюльман К. დასახელებული ნაშრომი: 252).

დღევანდელი გადასახედიდანაც ერთი რამ ნათელია ისტორია მეორდება. კავკასია კლავ წარმოადგენს გეოპოლიტიკური ვნებათაღელვის არენას. უფრო მეტიც ამიერკავკასია არამხოლოდ ევრაზიული პოლიტიკის უძირითადესი არეალია, არამედ მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებების ციტადელიც.

ლიტერატურა:

1. გიგინეიშვილი ო. (1963), თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი.
2. ზოსიძე ნ. (1995), პოლიტიკური ვითარება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.
3. Bihl W.(1975), Die Kaukasus Politik der Mittelmächte, Teil I (1914-1917), Wien-Köln-Graz.

4. Джемал-паша (1923), Записки, 1913-1919 гг., Тифлис.
5. История Первой мировой войны, т. 2, М. (1975), Москва.
6. Корсун Н.Г. (1946), Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк), Москва.
7. Мюльман К. (1938) Германо-турецкий военный союз в мировой войне, Перевод с немецкого (машинописное издание).
8. Larcher M. (1926), La guerre Turque dans la guerre mondiale, Paris.
9. სსცია, ფ. 83, ანაწ. 9, საქ. 39, ფურც. 1;
10. სცსსა. ფ. 13, ან. 27, ს.3361, ფურც. 5-13.
11. სცსსა. ფ. 1577 ან. 1 საქ.320,ფურც. 84.
12. სსცია, ფ. 1844, საქ. 70, ფურც. 8.
13. ს.ც.ს.ს.ა, ფ. 13. ან. 27, ს. 3193, ფურც.33.
14. АВПР. Ф. «Канцелария», оп. 470, д. 109, т. 1, Л. 22-23, 66.
15. გაზ. ,,თანამედროვე აზრი'', №32, 1915 წ;